ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №7

2015 წლის 27 იანვარი

ქ. ზუგდიდი

,,ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის საგანგებო სიტუაციების სამსახურის საშტატო განრიგისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 6 აგვისტოს №26 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის 56-ე მუხლის 1-ლი პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის შესაბამისად, ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის საგანგებო სიტუაციების სამსახურის საშტატო განრიგისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 6 აგვისტოს №26 დადგენილება.

მუხლი 2

1. ამ დადგენილების მოქმედება გავრცელდეს 2015 წლის 10 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.
2. დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **მერაბ ქვარაია**